სოფლის მშრომელებო, შეჯიბრების დროშით პროდუქციის სიუხვისათვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 45 (12557) | პარასკევი, 22 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

წარჩინებული მექანიზატორი — დეპუტატობის კანდიდატი

ამ სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს გიორგი ცერცვაძეს. იგი გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორია. გიორგი კარგად დაეუფლა ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მექანიზატორის სვეტლიჩნის მუშაობის მეთოდებს.

ორიოდე წლის წინათ გ. ცერცვაძე სხვა მექანიზატორებთან ერთად ეწვია სვეტლიჩნის თავის სამშობლოში. გაეცნო შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის მექანიზაციის გამოცდილებას და დაინერგა ზეღდულეთში. იგი ყოველწლიურად უზრუნველყოფს უხვი მოსავლის მიღებას.

ახლაც ეს წარჩინებული მექანიზატორი წარმატებით შრომობს შვიდწლედის მეხუთე წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის, შრომობს სვეტლიჩნისებურად. ამიტომ დაასახელეს გიორგი ცერცვაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შავშვების საარჩევნო ოლქში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ზუგდიდისა და ყვარლის საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტების მოწოდების შესახებ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი, რომ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის 1963 წელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ზუგდიდისა და ყვარლის საწარმოო სამმართველოების სოფლის მეურნეობის მუშაკთა ინიციატივა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკის საწარმოო-სამმართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა მოწოდებას და თავის მხრივ მოუწოდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის 1963 წელს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიის საოლქო კომიტეტებს, საწარმოო სამმართველოებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ განიხილონ ზუგდიდისა და ყვარლის საწარმოო სამმართველოების მშრომელთა მოწოდება კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კრებებზე, ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ამ პატრიოტულ მოწოდებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ სოფლის მშრომელთა პატრიოტულ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურებიან ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა შეურნეობაში, ყველგან აამოქმედებენ არსებულ რეზერვებს, იკისრებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს შვიდწლედის მეხუთე წელს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკურ, საოლქო და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების გაზეთებს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს ფართოდ გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

შეჯიბრების შტაბები გვატყობინებენ

შეჯიბრების ინიციატორებთან

ზუგდიდი. გუშინ კარგი ამინდი იყო. მეჩაიეები და მხვნელ-მთესველები მინდვრად თავდადებით შრომობდნენ. ამ დღეს რაიონის ჩაის პლანტაციებში რიგთა შორის ნიადაგის გადაბარვა სასუქების შეტანით ძირითადად დამთავრდა.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება. გასხლულია 300 ჰექტარზე მეტი. ამ სიმეზეში დაწინაურდნენ იხგირის, რუხის, ჭკადუაშის, რეყისა და სხვა კოლმეურნეობები.

მეჩაიეებს არ ჩამორჩნენ მესამინდეები. სამმართველოს კოლმეურნეობებში ერთ დღეს მოხნეს 500 ჰექტარი სასიმინდე ფარობი, აქედან 100 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა.

შეუფერხებლად მუშაობენ ტრაქტორები. ეს იმის შედეგია, რომ ტექნიკის რემონტი მაღალხარისხოვნად ჩატარდა. მზად არის 269 ტრაქტორი, 123 ჩაის სასხლავი მანქანა, 200 გუთანი და რამდენიმე ათეული ცალი კულტივატორი.

ყვარელი. საკოლმეურნეო მინდვრებში დათესილია 686 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. გუშინ დათესეს 300 ჰექტარი. აქედან 100 ჰექტარი ბარდა. შიდღის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს დათესეს 21 ჰექტარი ბარდა, გასხლეს 30 ჰექტარი ვენახი.

ამავე სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში დათესეს 15 ჰექტარი ბარდა. თესვის დღიური დავალება ორმაგად შეასრულა მექანიზატორმა ნ. ჩახტურმა. გრემის კოლმეურნეობის ორი ტრაქტორი ხვნაზე მუშაობდა. მოხნეს 15 ჰექტარი, დათესეს 7 ჰექტარი ბარდა, გასხლეს 10 ჰექტარი ვენახი.

ნაყოფიერად იმუშავეს სოფელ ენისელში. აქ 42 ჰექტარი ვენახი გასხლეს და 7 ჰექტარი ბარდა დათესეს.

ახალსოფლელთა თაოსნობა

დუშეთი. (საკ. კორ.). გაზეთმა „კომუნიზმის გზამ“ გამოაქვეყნა თიანეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მუშაკების კოლექტიური წერილი რაიონის ყველა მეღორისადმი, რომელშიც ნათქვამია:

გულდასმით გავეცანით კრასნოდარელთა მოწოდებას და დავრწმუნდით, რომ ჩვენ შეგვიძლია მათ მხარი გავუსწოროთ ხორცის წარმოების გადიდებაში.

ჩვენი კოლმეურნეობა მრავალი წლის განმავლობაში ეკონომიურად ჩამორჩებოდა, ვერ ვასრულებდით მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დავალებებს, განსაკუთრებით **ჩამორჩებოდა მეღორეობა. 70 ნეზვი და 35 ბურვაკი იყო ფერმის მთელი სიმდიდრე,** მაგრამ გული არ გაგვიტეხია. ბეჯითად მოვკიდეთ ხელი საქმეს, და მალე ამ დარგს წინსვლა დაეტყო, რამაც საშუალება მოგვცა შეგვექმნა ხორცის წარმოების დიდი რეზერვი. **დღეს ჩვენს ფერმაში 539 ღორია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 220 სულისა. უკვე გადაჭარბებით გვაქვს შესრულებული ღორის სულადობის მიმდინარე წლის გეგმაც. ახლა ჩვენი ფერმა მთლიანად უზრუნველყოფილია კარგი ბინებით.**

წლის განმავლობაში გავასუქებთ და სახელმწიფოს მივყიდით 450 სულ ღორს.

ვალდებულების შესრულება უკვე დავიწყეთ. იანვარში სახელმწიფოს მივყიდეთ 67 სული ღორი, კვარტალის ბოლომდე კი დამატებით ჩავაბარებთ იმდენ სულს, რომ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით იქნას განაღდებული.

ვიღებთ რა გადიდებულ ვალდებულებებს, მოგიწოდებთ თქვენ, თანამოსაქმენო, მიბაძოთ ჩვენს მაგალითს და იკისროთ სათანადო ვალდებულებანი ხორცის საერთო წარმოებაში ღორის ხორცის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, რათა ჩვენი წვლილი შეეტანოთ შვიდწლედის მეხუთე წლის დიდი ამოცანების გადაწყვეტაში.

ახალსოფლელთა თაოსნობა საყოველთაო მხარდაჭერის ღირსია.

ტ. ჟივკოვი სამშობლოში გაემგზავრა

20 თებერვალს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი. მასთან ერთად ბულგარეთს გაემგზავრა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. მიხაილოვი.

კიევის ვოგზალში ბულგარელი ამხანაგები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა და სხვებმა.

კომუნისტთა და უპარტიოთა ურყევი ბლოკის ბრძოლითი ერთობა

მშრომელთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე

თბილისის ენგელსის საარჩევნო ოლქი

წინასაარჩევნო კამპანია ახალ ეტაპში შევიდა — დაიწყო მშრომელთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირები. ისინი ცხადყოფენ საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ენგელსის № 32 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენელნი — სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სტუდენტები შეიკრიბნენ 21 თებერვალს ილია ჭავჭავაძის სახელობის კლუბში საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე.

თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ქ. ლომთათიძემ. ჩვენი ოლქის მშრომელები, თქვა მან, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ეგებებიან მომავალ არჩევნებს როგორც სასიხარულო დღესასწაულს. ამ დღეებში ისინი ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ ერთსულოვნებასა და მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას, აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ენერგია მოახმარონ პარტიის დიადი გეგმების ხორცშესხმას.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელს ა. ხუნწარიას. იგი ამბობს:

რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო მატულობს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აღფრთოვანება. ემზადებიან რა საბჭოების არჩევნებისათვის, ქალაქისა და სოფლის მშრომელნი ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

ორატორი ამბობს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლექტივმა ერთსულოვნად დაასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ენგელსის № 32 საარჩევნო ოლქში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე და მოუწოდა თათბირის მონაწილეებს დაუჭირონ მხარი დასახელებულ კანდიდატურას.

შემდეგ გამოვიდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკთა წარმომადგენელი — თელასის პარტბიუროს მდივანი ვ. მახარაძე და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ეკონომისტი თ. ჭანკვეტაძე. თავიანთი კოლექტივის სახელით მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დასახელებულ კანდიდატურას, განაცხადეს, რომ ამმრჩეველნი ყოველთვის სიხარულით მისცემენ ხმას ლენინის პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — ეთხოვოს თბილისის ენგელსის № 32 ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე.

თათბირის მონაწილეებმა აირჩიეს ნდობით აღჭურვილი პირები და ერთხმად მიიღეს მიმართვა თავიანთი ოლქის ამომრჩევლებისადმი, რომელშიც მოუწოდებენ მათ კიდევ უფრო გაზარდონ პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ დიდ სახალხო დღესასწაულს — არჩევნებს. (საქდესი).

თბილისის მელიქიშვილის საარჩევნო ოლქი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოთა მშრომელები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკები, დაწესებულებებისა და სასწავლებლების მოსამსახურეები, დიასახლისები, სტუდენტები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის მელიქიშვილის № 45 საარჩევნო ოლქის წარმომადგენლები. აქ 21 თებერვალს გაიმართა ამ საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი.

ტრიბუნაზეა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პროფესორი პ. გელბახიანი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს ნ. ლაჭყეპიანს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მშრომელმა გ. ჩიხრაძემ.

ორატორებმა განაცხადეს, რომ მათმა კოლექტივებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის მელიქიშვილის № 45 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე. ამხ. ძოწენიძე მათ დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი და მოუწოდეს თათბირის მონაწილეებმა მხარი დაუჭირონ მის კანდიდატურას.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიური პარტიის. მთავარმა ინჟინერმა გ. გუჯაბიძემ, თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმის მასწავლებელმა ვ. ელბაკიძემ.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სთხოვს ამხ. გ. ს. ძოწენიძეს დათანხმდეს კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის მელიქიშვილის № 45 საარჩევნო ოლქში.

თათბირმა აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

ერთსულოვნად მიღებულ მიმართვაში თათბირის მონაწილეები მოუწოდებენ ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმა მისცენ არჩევნების დღეს ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს — კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. (საქდესი).

ავაგაღლოთ წინასაარჩევნო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს მიეძღვნა ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი. მასში მონაწილეობა მიიღეს პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივნებმა, სამრეწველო-საწარმოო და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების მდივნებმა მოადგილეებმა, იდეოლოგიურ დაწესებულებათა მუშაკებმა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. სტურუამ.**

გაწეული მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს თათბირის მონაწილეებს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ **შ. ყარყარაშვილმა,** პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ **მ. ხვარციამ,** პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა **დ. თებიძემ,** პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **პ. თედეევმა,** პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ **ვ. ჯაველიძემ,** ზუგდიდის და თელავის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტების მდივნების მოადგილეებმა **ნ. ჭითანავამ** და **გ. მალრაძემ,** პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **გ. ცხადიაშვილმა,** ახალქალაქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ **თ. ლაზარაშვილმა.**

მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის საკითხებზე ვრცლად ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. **ი. რთველიაშვილმა.**

თათბირის მუშაობა შეაჯამა ამხ. **დ. სტურუამ.** (საქდესი).

ყველაზე მძლავრი აზიაში

ბრატსკი, 18 თებერვალი. (საქდესი). სასიხარულო ამბავი მოვიდა ანგარის ნაპირებიდან. დღეს 500 ათას ვოლტ ძაბვაზე გადაეცემინა იქნა ბრატსკ-ირკუტსკის ელექტროგადამცემი ხაზის ერთ-ერთი რგოლი.

ახლა ეს ელექტრომაგისტრალი ყველაზე მძლავრია აზიაში.

ბუშინ ქაპროლაქტამის მშენებლობაზე

ქართული კაპროლაქტამი — მაისში

ყველა სამუშაო — თავის დროზე!

მშენებელ-მეონტაჟეებმა მორიგი წარმატება მოიპოვეს.

გუშინ დღის პირველ ნახევარში კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე ფრიადი შეფასებით ჩაბარეს საწყისი ელექტროქვესადგური.

ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბში გუშინ თავი მოიყარეს მშენებელ-მემონტაჟეთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. მათ ერთხელ კიდევ იმსჯელეს ერთკვირეული განრიგის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ბუნებრივი გაზის მიღების გაყვანის და მექანიკური სამონტაჟო სამუშაოს განრიგი ორი დღით ადრე შესრულა „მეტალურგპროკატმონტაჟის“ სამმართველომ.

წარმატებით შეასრულეს განრიგი აზოტწყალბადის ნარევის მილგაყვანილობის სამონტაჟო სამუშაოებზე. ძირითადად დადებითად არის გადაწყვეტილი № 461 კორპუსიდან № 7 კვანძამდე აზოტწყალბადის ხაზის გაყვანის, აგრეთვე ამ ხაზის ესტაკადაზე ჩართვის საკითხები. № 956 კორპუსზე განრიგით გათვალისწინებული სამუშაოები დაიწყეს „პრომვენტილაციის“ და „სვიაზჩერმეტის“ სამმართველოებმა.

თავისი ძირითადი სამუშაოები ამავე კორპუსზე შეასრულა „კაესანტექმონტაჟის“ სამმართველომ, მაგრამ იმის გამო, რომ „მეტალურგპროკატმონტაჟის“ სამმართველოს ჯერ კიდევ არ აქვს დამთავრებული თავისი სამუშაოები, არ ხერხდება საორთქლო სისტემის გამოცდა.

ადგილი აქვს სხვა ნაკლოვანებებსაც. № 973 კორპუსზე „ენერგოჩერმეტის“ სამმართველოს ჯერ კიდევ 20 თებერვლისათვის უნდა უზრუნველეყო გოგირდის ღუმელზე სიმაგრის წიბოს დაყენება. ეს სამუშაო მან ჩაშალა. ასევე საფრთხის წინაშეა გაზგამტარებზე კომპრესორების დაყენების სამუშაოები. საჭიროა „ენერგოჩერმეტის“ სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ე. აგანერიანამ, რომელიც პასუხისმგებელია ამ სამუშაოებისათვის, დაუყოვნებლივ მიიღოს გადამწყვეტი ზომები. მათ მიერ სამუშაოს შეუსრულებლობა იწვევს ქიმდაცვის სამუშაოების გაჭიანურებას.

გ. დემეტრაშვილი — „ქიმმრეწვმშენის“ სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ა. ბერიძე — ნორმატიულ-საკვლევი სადგურის უფროსი, მ. ზველევი — ამერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის მოწყობილობის ბაზის უფროსი, ზ. მერკვილაძე — გაზეთ „კომუნისტის“ საკ. კორ.

რედაქციისაგან: ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად აღინიშნება „ჩერმოიზოლაციის“ სამმართველოს არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. როგორც სამმართველოს უფროსმა ა. გეორგიევმა განაცხადა, მიღებულია ზომები, რათა დროულად იქნას დამთავრებული საიზოლაციო სამუშაოები ციკლოგექსანლის რეტიფიკაციის და სხვა კორპუსებზე. ყველაფერ ამას ისე ვითვალისწინებთ, რომ არ შევაფერხოთ კაპროლაქტამის პირველი ჯგუფის საექსპლოატაციოდ მომზადება.

გაზეთმა ამ დღეებში უურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ფერხდებოდა საარმატურო სამუშაოები სპეციალური შეკეთებული არმატურის უქონლობის გამო. აზოტოვანი სასუქების ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ი. გრძელიძემ გვაცნობა, რომ მემონტაჟეები უკვე უზრუნველყოფილი არიან არმატურით.

ქართული ენა-ლიმ მიიღო კუბის ეკონომიური დელეგაცია

პეკინი, 21 თებერვალი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ დღეს მიიღო კუბის მთავრობის ეკონომიური დელეგაციის მეთაური კუბის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ალბერტო მორა ბესერა და დელეგაციის წევრები. სინხუას საგენტო იუწყება, რომ ჯოუ ენ-ლაისა და სტუმრებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის პრემიერ მინისტრი აჰტი კარიალაინენი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 21 თებერვალს მოსკოვს ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ფინეთის პრემიერ-მინისტრი აჰტი კარიალაინენი მეუღლითურთ.

საპატიო სტუმრის შესახვედრად დედაქალაქის ლენინგრადის ვოგზალზე შეიკრიბნენ მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალი წარმომადგენელნი. აქ მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი მეუღლითურთ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ტ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირნი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. კარიალაინენმა ერთმანეთს მიმართეს მეგობრული სიტყვებით. (საკდესი).

ა. კარიალაინენი ეწვია ნ. ს. ხრუშჩოვს

ფინეთის პრემიერ-მინისტრი აჰტი კარიალაინენი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, 21 თებერვალს ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს კრემლში.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და აჰტი კარიალაინენს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

ა. კარიალაინენი ეწვია ლ. ი. ბრეჟნევს

ფინეთის პრემიერ-მინისტრი აჰტი კარიალაინენი 21 თებერვალს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

შეხვედრის დროს ლ. ი. ბრეჟნევსა და ა. კარიალაინენს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. (საკდესი).

მეთევზეთა ვალდებულებანი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მოიწონეს შორეული აღმოსავლეთის თევზსარეწ გემთა ეკიპაჟების, თევზის მრეწველობის საწარმოთა მუშაკებისა და კოლმეურნე მეთევზეების ინიციატივა — გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება თევზჭერისა და თევზის პროდუქციის გამოშვების 1963 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

შორეული აღმოსავლეთის მეთევზეებმა შარშან ვადამდე შეასრულეს თევზჭერისა და საზღვაო რეწვის პროდუქტთა წარმოების გეგმა, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ასეულ ათასობით ცენტნერი პროდუქცია. მიმდინარე წელს მათ უნდა დაიჭირონ ერთი მილიონი ცენტნერით მეტი თევზი და საზღვაო რეწვის პროდუქტი, ვიდრე ფაქტიურად დაიჭირეს 1962 წელს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ ურჩიეს ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი შორეული აღმოსავლეთის მეთევზეთა ინიციატივას. (საკდესი).

ტ. ჟივკოვი სამშობლოში გაემგზავრა

20 თებერვალს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი. მასთან ერთად ბულგარეთს გაემგზავრა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. მიხაილოვი.

ჯოუ ენ-ლაიმ მიიღო კუბის ეკონომიური დელეგაცია

პეკინი, 21 თებერვალი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ დღეს მიიღო კუბის მთავრობის ეკონომიური დელეგაციის მეთაური კუბის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ალბერტო მორა ბესერა და დელეგაციის წევრები. სინხუას საგენტო იუწყება, რომ ჯოუ ენ-ლაისა და სტუმრებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

მდგომარეობა ერაყში

პარიზი, 21 თებერვალი. (საკდესი). პარიზის გაზეთი „კომბა“ იუწყება, რომ ქურთებმა განაახლეს ბრძოლა ერაყის ახალი მთავრობის წინააღმდეგ. „ქურთებმა, რომლებმაც მოლაპარაკება დაიწყეს არეფის ახალ მთავრობასთან, — წერს „კომბა“, — განაახლეს თავიანთი წინააღმდეგობა და იბრძვიან ერაყის ჯარების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ქურთების წარმომადგენლებმა წამოაყენეს სამი პირობა — ქურთების ავტონომია, ნავთობისაგან მიღებული შემოსავლის წილის მიცემა ქურთებისათვის და ერაყის ჯარების ევაკუაცია ქურთების რაიონებიდან. მაგრამ მაღადგის ხუნტამ უარყო ეს პირობები. მაშასადამე, ბრძოლა ქურთების განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გრძელდება“.

შეეხო რა მდგომარეობას ერაყის ახალ მთავრობაში, „კომბა“ წერს, რომ „ახლა შეიქმნა უთანხმოებანი ერაყის რევოლუციის ეროვნულ საბჭოში, თუმცა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული არც ერთი მიზანი, რომლებიც დასახეს ყასემის მოწინააღმდეგეებმა“.

კანონპროექტი ამნისტიის შესახებ უარყოფილია

ანკარა, 21 თებერვალი. (საკდესი). თურქეთის პარლამენტის ქვედა პალატამ გუშინ ხმის უმრავლესობით უარყო „სამართლიანობის პარტიის“ წარმომადგენლთა მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი იმის შესახებ, რომ სრული ამნისტია მინიჭებოდათ მენდერესის რეჟიმის ყოფილ მოღვაწეებს, რომლებიც გაასამართლეს კუნძულ იასიადაზე.

გონი ჩქარობს

ბონი, 21 თებერვალი. (საკდესი). ბონის მმართველ წრეებს, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ რაკეტულ-ატომური იარაღის ფლობის უფლება, სურთ მომავალ კვირაში ვაშინგტონს გაგზავნონ დასავლეთ გერმანიის სამხედრო მინისტრი ფონ ჰასელი. ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალები იქნება მთავარი თემა ფონ ჰასელის მოლაპარაკებისა ამერიკელ კოლეგასთან მაკნამარასთან და ალბათ პრეზიდენტ კენედისთან ვაშინგტონში, იუწყება დპა-ს საგენტო. ჰასელის ამ ვიზიტს ბონის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ჰასელს სურს გაეცნოს „მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნისა და ორგანიზაციის კონკრეტულ ამერიკულ კონცეფციებს“, რომლებიც ბონმა უკვე მოიწონა პრინციპულად ყოველგვარი შეთანხმების დაუდებლად.

უკანასკნელ ცნობები

დიდი ლენინი და გმირი კიკვიძე

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ვ. ი. ლენინი ეცნობოდა ფრონტზე საომარი ოპერაციების მსვლელობას, ჯარების განლაგებას, დაინტერესებული იყო და პირადად იცნობდა წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობას.

ვ. კიკვიძის სახელი ვ. ი. ლენინისათვის ჯერ კიდევ 1917 წელშივე გახდა ცნობილი. ბელადი მაღალ შეფასებას აძლევდა უკრაინაში ადგილობრივი კონტრრევოლუციური ბანდებისა და გერმანელი-ჯარების წინააღმდეგ ვ. კიკვიძის გმირულ ბრძოლებს.

ვ. ი. ლენინი ვ. კიკვიძის პიროვნებით განსაკუთრებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც 1917 წლის დასასრულს დამოქალაქო ომის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის — რაზვიკინის დაპაშა მოახსენეს. იქ ნათქვამი იყო: „სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური კომიტეტის თანახმად შექმნილია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბი. ფრონტის სარდლად არჩეულია ამხანაგი კიკვიძე“.

1918 წლის გაზაფხულზე ვ. ი. ლენინმა კრემლში მოიწვია სამხედრო სპეციალისტების თათბირი. თათბირი. განიხილავდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შექმნასა და განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ვ. ი. ლენინმა თათბირის მონაწილეებს გულდასმით და დაწვრილებით გააცნო საბჭოთა მთავრობის მოსაზრებანი წამოყენებული საკითხების შესახებ. შეეხო რა წითელი არმიის ნაწილების ფორმირების საკითხს, ვ. ი. ლენინმა განაცხადა: ხალხი გამოყოფს ნიჭიერ მეთაურებს. აი, მაგალითად, კიკვიძე — იგი პატარ-პატარა რაზმებს მსხვილ შენაერთად კრებს. მამაცი, გონიერი უფროსია. მეორეა სივერსი... ისინი მოქმედებენ გაბედულად, მტკიცედ და ორგანიზებულად...

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ყველაზე მძიმე დღეებში ვ. ი. ლენინი ხშირად კითხულობდა ვ. კიკვიძეს. რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური საბჭოს ყოფილი წევრი და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ოპერატიული განყოფილების უფროსი ს. არალოვი წერს: „ამ მძიმე ვითარებაში (იგულისხმება სამოქალაქო ომი) ლენინი დღისითაც და ღამითაც მუშაობდა. იგი არც რომელიმე ჩვენთაგანს აძლევდა მოსვენებას. ხშირად გაისმოდა მისი ზარი: როგორია ახალი, უკანასკნელი ცნობები? რა ხდება ვორონეჟთან? სად არის კიკვიძის დივიზია? ელაპარაკეთ დივიზიის შტაბს?“.

ვ. ი. ლენინის ყურადღებითა და ზრუნვით აღფრთოვანებული ვ. კიკვიძის დივიზია ხასწაულებს ახდენდა ფრონტზე. რესპუბლიკის სამხრეთის ფრონტზე მე-18 დივიზია მტრის რისტვის წარმოადგენდა. გულადი მეთაურის ვ. კიკვიძის სახელი უჭკნობი დიდებით შეიმოსა. მის უმაგალითო ვაჟკაცობასა და მოხერხებულობაზე, გმირობასა და მამაცობაზე ლეგენდები დადიოდა ხალხში. ადამიანი-ლეგენდა — ასე ახასიათებენ ვ. კიკვიძეს ჯარისკაცები, მეთაურები, რომლებიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ რთულ საბრძოლო ოპერაციებში.

ვ. კიკვიძე ბოლომდე ერთგული იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა. იგი მოხიბლული იყო ვ. ი. ლენინით. კიკვიძეს თავისი ცხოვრების ყველაზე დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა ვ. ი. ლენინთან შეხვედრები 1918 წლის 20-21 მაისს. ლენინმა თავის სამუშაო კაბინეტში მიიღო იგი, გულდასმით გამოკითხა ფრონტის ამბები. კიკვიძე განაცვიფრა ბელადის მიერ ხაომარი ოპერაციების დეტალებისა და სამხედრო საქმის ღრმა ცოდნამ. ბოლოს ვ. ი. ლენინმა განუმარტა კიკვიძეს ის დიდი მნიშვნელობა, რაც მოსკოვ-ცარიცინის რკინიგზის დაცვას ენიჭებოდა, და რომ ეს ამოცანა უნდა შესრულდეს რადაც უნდა დაჯდეს.

რევოლუციის ჭეშმარიტი რაინდი — ვ. კიკვიძე — მოაჯადოვა ვ. ი. ლენინმა, მასთან საუბარმა. სამხრეთში არნახული ბრძოლების ეს სწორუპოვარი შევარდენი ვ. ი. ლენინთან საუბრების შთაბეჭდილებით იყო დატყვევებული.

და რაოდენ აღმაშფოთებელი, შემზარავი იყო ვ. კიკვიძისათვის ცნობა 1918 წელს ვ. ი. ლენინის სიცოცხლის ხელყოფის შესახებ. მან დაუყოვნებლივ ავტინა დეპეშა მოსკოვში. აი დეპეშის ტექსტიც:

„მოსკოვი, სახალხოსაბჭო, ამხანაგ ლენინს.

რუსეთის რევოლუციისათვის თქვენს ძვირფას სიცოცხლეზე თავდასხმის სამწუხარო, საზიზღარი შეთხზვევით ღრმად აღფოთებული პირადად ჩემი და მთელი ჩემი დივიზიის სახელით გიცხადებთ თქვენ უალრესად მხურვალე თანაგრძნობას.

ლამპარი ჩვენი რევოლუციისა უნდა ანათებდეს რაც შეიძლება დიდხანს, და ჩვენ არავის მივცემთ უფლებას ჩააქროს იგი!

დივიზიის უფროსი კიკვიძე.

1919 წლის 11 ივნისს ვ. კიკვიძე გმირული სიკვდილით დაეცა ფრონტზე. ვ. ი. ლენინმა გულისტკივილით შეიტყო ლეგენდარული კიკვიძის დაღუპვის ამბავი.

ვ. ი. ლენინის განკარგულებით, რესპუბლიკისათვის მაშინდელი უალრესად მძიმე პირობების მიუხედავად, ვ. კიკვიძის ცხედარი მოსკოვს წაასვენეს და საბრძოლო დიდებით მიაბარეს დედაქალაქის მიწას ვაგანკოვის სასაფლაოზე.



დოკენტი
აკ. ირემაძე.

დნეპრის სანაპიროებზე

ხ. ა. პაპალაშვილი. მ. ს. პაპალაშვილი.

ერთ მშვენიერ საღამოს ბელორუსიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ გარნიზონში საბჭოთა მეომრები უურადღებით ვისმენდნენ ყოფილი პარტიზანის გიორგი ანტონის-ძე ხრამოვიჩის ნაამბობს. იგი გვიყვებოდა, როგორ იბრძოდა და როგორ დაიღუპა ქართველი მებრძოლი სოკრატ ალექსის-ძე პაპალაშვილი.

ძვირფასო მკითხველო, ვიდრე გაგაცნობდეთ ს. ა. პაპალაშვილის ბრძოლებს, მინდა მოგიყვეთო, თუ რა მიზეზით მოხდა ამხ. ხრამოვიჩი ჩვენს ხაწრში. აი რა გვიამბო თვითონ გიორგი ანტონის-ძემ:

— უკვე ხუთი წელია ვეძებ ჩემი მებრძოლი ერთგული ამხანაგის უშიარი მზვერავის ს. ა. პაპალაშვილის ნათესავებს. ეწერდი წერილს სოფელ კოსტანტინაში, მოგილიოვის ოლქში, სადაც არქივის მასალების მიხედვით თქოქოს ს. ა. პაპალაშვილი ცხოვრობდა, მაგრამ ტყუილი გამოდგა. ერთ დღეს ვიმყოფებოდი მოგილიოვში, გადავწყვიტე მივსულიყავი ცნობათა ბიუროში. ცნობათა ბიუროს მუშაკები ჩემს თხოვნას სერიოზულად მოეკიდნენ და იპოვნეს პაპალაშვილი მარადი სოკრატის-ძე, დაბადებული 1940 წელს. მე ბევრი ალარ მიყოყმანია, ვთქვი — მარადი შვილია სოკრატ ალექსის-ძისა, ავიღე მისამართი და შევუდექი ძებნას. როგორც იყო, მივაღწიე იმ ადგილს, ნახევარი საათის შემდეგ უკვე ამა თვედორეს ასულ ზამორიხასთან, ს. პაპალაშვილის მეუღლესთან ვსაუბრობდი. მარადი აღმოჩნდა შვილი ს. ა. პაპალაშვილისა — გამოჩენილი უშიშარი პარტიზან-მზვერავისა. ჩემთვის სასიხარულო იყო იმის გაგება, რომ სოკრატის შვილი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა, მან შეცვალა მამა.

ეს იყო საბჭოთა მეომრებთან ხრამოვიჩის შეხვედრის მიზეზი. რადგან ჩვენს ხაწრში მსახურობს ახალგაზრდა ოფიცერი მ. ს. პაპალაშვილი.

ამხ. ხრამოვიჩმა ბევრი რამ გვიამბო ს. ა. პაპალაშვილის ცხოვრების შესახებ.

ჩვენთან გამოცხადებისთანავე, — ამბობს ხრამოვიჩი, — სოკრატმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, იგი ჭკვიანი და გულადი იყო, მას დავაკისრეთ მზვერავობა.

პაპალაშვილის ხელმძღვანელობით, აფეთქებულ იქნა მტრის ბევრი კომუნიკაცია.

კარგად იცოდა გერმანული ენა, რამდენჯერმე მოისმინა ტელეფონით მტრის შტაბიდან სადუმლო საუბარი...

1943 წლის 1 ოქტომბერს ჩერიკოვსკის სამხედრო-ოპერატიული ჯგუფი ნაწილ-ნაწილ შეუერთდა საბჭოთა არმიას. მტრის შუაგულში დარჩა მოელი 720-ე როზმი, სადაც შედიოდა პაპალაშვილის ჯგუფიც.

დნეპრის მიდამოებში გაიმართა დიდი ბრძოლა. საბჭოთა პარტიზანებმა ათასობით გერმანელი გამოასალმეს სიცოცხლეს. აქ დაიღუპა რამდენიმე პარტიზანი, ერთ-ერთ მძიმე ბრძოლაში დნეპრის სანაპიროზე გმირულად დაეცა ქართველი ხალხის ღირსეული შვილი სოკრატ პაპალაშვილიც.

ბელორუსი ხალხი თბილად იხსოვს უშიშარი პარტიზანის სოკრატ პაპალაშვილის ხსოვნას. ალმაყა, იყავი ისეთი ვაჟკაცი, როგორიც მამაშენი იყო — ამით დაამთავრა ამხ. ხრამოვიჩმა თავისი საინტერესო ნაამბობი...

ძვირფასო რედაქციავ! რამდენჯერმე გვქონია პირადი საუბარი ლეტენანტ მ. ს. პაპალაშვილთან. იგი ოცნებობს იპოვნოს თავისი ნათესავები. მარადის სურს გიგოს, სად ცხოვრობდნენ მისი მამა და მისი ნათესავები. აი თვითონ გადმოგცეს გაზეთიდან ამოჭრილი ეს სტრიქონი, რომელსაც გიგზავნით, მთლიანი სტრიქონი მამისა ერთხე მეტი არა მაქვსო. მარადი სანიმუშო ოფიცერი, გულისხმიერი ამხანაგია. ალბათ საქართველოში ნათესავები ჰყავს, რომლებიც მას მოიკითხავენ. მაშინ ჩვენც გავიხარებთ მარადთან ერთად.

რიგითი მებრძოლები
მ. აბრამიშვილი,
ი. ჩახავა.

სამაგალითო სიცოცხლე

მე საბჭოთა არმიის რიგებში ვარ. უკრაინაში ვიმყოფები, ვიხდი ჩემ მოქალაქეობრივ ვალს სამშობლოს წინაშე.

ხშირად ვიღებ საქართველოს უურნალ-გაზეთებს. ამას წინათ დიდი მოლოდვარებით წავიკითხე წერილი ტეშელაშვილისა და ბიბილაშვილის შესახებ. განსაკუთრებით მეამაყება ის, რომ სხვა ეროვნების თანამებრძოლები დაინტერესებდნენ მათი ცხოვრებით და მოხოვეს დაწვრილებით მეთარგმნა მათთვის სამამულო ომში თავდადებული გმირების ამბავი.

ჩვენ, საბჭოთა არმიის მებრძოლები, ხშირად ვსაუბრობთ დიდ სამამულო ომში მონაწილე ჩვენი მამებისა და უფროსი ძმების შესახებ, იმათ შესახებ, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად დაიცვა სამშობლო.

ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ თვითეული ჩვენგანი მშვიდობის არმიის ჯარისკაცია, მაგრამ თუ საჭიროა იქნება, ვიბრძოლებთ ისე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი მამაცი თანამემამულენი.

რიგითი **ი. გელენაძე.**

რომ შვილებმა იცხოვრონ მშვიდობიანად

პატივცემულო რედაქციავ! თვალს ვადევნებ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებს იმ გმირ ქართველებზე, რომლებიც სამშობლოსათვის ბრძოლაში დაეცნენ. ყოველი ასეთი მასალის წაკითხვისას ჩემს თვალზე ცრემლი არ შრება.

მე სამი ძმა მყავდა. ერთი თეთრფინელებთან ბრძოლაში დაეცა, ორი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. აქედან ერთი დაბრუნდა ვოლგოგრადთან მიღებული მძიმე ჭრილობით, მეორე — გვარდიის ყოფილი ლეიტენანტი გრიგოლ (ცუგა) ნიკოლოზის-ძე მშვიდობიანი ადარ დაბრუნებულა. 22 წლის ახალგაზრდა, ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, მოხალისედ წავიდა წითელი არმიის რიგებში. პირველად შორეულ აღმოსავლეთში მოხვდა. შემდეგ კი მოწმიწავე ხაზზე. ორი წლის განმავლობაში მტკიცედ იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. მისი წერილები მუდამ გამსჭვალული იყო გმირული სულისკვეთებით. ვინ იცის სად არის. მინდა რაიმე გავიგო მისი უკანასკნელი დღეების შესახებ. ის ისეთი პატრიოტი იყო, რომ ლაჩრულად არ მოკვდებოდა. ვინმეს ეცოდინება მისი ფრონტული ცხოვრება.

ჩემი უფროსი ძმა სამამულო ომის ინვალიდი — ცხოვრობს მოხუც დედ-მამასთან, საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში. მისი ოჯახი ოთხ ვაჟიშვილს უზრდის სამშობლოს, მინდა მათი დღე მინც იყოს მშვიდი, უღრუბლო.

ევგენია ამაღლობელი.

ხალხის კანდიდატები

ოჩამჩირის რაიონის საბჭოთა-სამეურნეო არტელის „აძიუბჟის“ კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **№ 355** საარჩევნო ოლქში დააყენეს სოფელ **ლიდა ლავრენტის ასული ლვინჭილიანი.**

ტყვარჩელის № 1 და **№ 6** შახტების კოლექტივებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ტყვარჩელის აკარმარის **№ 336** საარჩევნო ოლქში დააყენეს **№ 6** შახტის უფროსი **ვალერიან თეოდორეს-ძე ლვინჭილია.**

მახარაძის რაიონის სოფელ მერრის კოლოგის სახელობის არტელის წევრთა საერთო კრებამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მერრის **№ 282** საარჩევნო ოლქში დააყენეა ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ბრიგადირი **შუშანა პროკოფის ასული გაფონია.**

მახარაძის რაიონის სოფელ საკმაიასერის არტელის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბუკისციხის **№ 289** საარჩევნო ოლქში დააყენეს მახარაძის რაიონმასკომის თავმჯდომარე **აკაკი გრიგოლის-ძე გობრონიძე.**

მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის არტელის წევრთა კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შემოქმედის **№ 285** საარჩევნო ოლქში დააყენეს მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ვახტანგ ზაქარიას-ძე თოხაძე.**

მახარაძის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მეორე **№ 281** საარჩევნო ოლქში დააყენეა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე **გიორგი ვასილის-ძე სიხარულიძე.**

ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ალასტანის **№ 118** საარჩევნო ოლქში დააყენეს „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორი **აკოფ არამის-ძე ბლრეიანი.**

ცხაკაიის რაიონის დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის არტელის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩხოროწყუს **№ 295** საარჩევნო ოლქში დააყენეს ცხაკაიის რაიონმასკომის თავმჯდომარე **დამიანე კიმოთეს-ძე ჯიჯილავა.**

წყალტუბოს რაიონის სოფელ ორპირის არტელის წევრთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ორპირის **№ 247** საარჩევნო ოლქში დააყენეა **წყალტუბოს** კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ოთარ გრიგოლის-ძე აბესაძე.**

ქვიტირის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქვიტირის **№ 244** საარჩევნო ოლქში დააყენეა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი **მიხეილ თეოფანეს-ძე ჩიხლაძე.**

წყალტუბოს რაიონის სოფელ სორხეთის არტელის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საწირის **№ 246** საარჩევნო ოლქში დააყენეს კოლმეურნეობის მეჩიჯოთა მეურნეური **ნაზი მელიტონის ასული კვირიკეიშვილი.**

ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიას კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბარალეთის **№ 119** საარჩევნო ოლქში დააყენეს **ლენინგიდ იაკობის-ძე სენკოვი.**

ახალქალაქის რაიონის სოფელ გორელოვკის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოგდანოვკის **№ 122** საარჩევნო ოლქში დააყენეს ახალქალაქის რაიონმასკომის თავმჯდომარე **უსიკ ავეტისის-ძე კაწარიანი.**

თიანეთის მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხევსურთსოფლის **№ 163** საარჩევნო ოლქში დააყენეს **საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის მდივანი მარიამ ალექსანდრეს ასული გონჭილაშვილი.**

ახალქალაქის რაიონის სოფელ მამწვრის კოლმეურნეებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **№ 123** საარჩევნო ოლქში დააყენეს მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირი **ვიჩაგან ხაჩატურის-ძე გრიგორიანი.**

ახალქალაქის რაიონის სოფელ ოროჯოლორის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **№ 124** საარჩევნო ოლქში დააყენეს არტელის მწველავი **ფენია ბეჟანის ასული ტაზოიანი.**

თელეთის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კოკრის **№ 74** საარჩევნო ოლქში დააყენეა გარდაბნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ვახტანგ ვასილის-ძე მირიანაშვილი.**

დიღმის № 73 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დიდიმ აკაკის-ძე დათუაშვილი.**

ქვემო ბოლნისის № 145 საარჩევნო ოლქში სოფელ ქვემო ბოლნისის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი **მამუდ ყულის-ძე ყულიევი.**

გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შავშეთის **№ 85** საარჩევნო ოლქში დააყენეს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **გიორგი ალექსანდრეს-ძე ცერცვაძე.**

გორის რაიონის სოფელ ზერტის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მეკერმისხევის **№ 86** საარჩევნო ოლქში დააყენეს არტელის წევრი **ოლგა კარპეზის ასული ტერუნაშვილი.**

ბოლნისის რაიონის სოფელ სადახლოს არტელის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სადახლოს **№ 137** საარჩევნო ოლქში დააყენეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ელმან ამმედ ოღლი ემინოვი.**

დმანისის № 140 საარჩევნო ოლქში საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დააყენეს კოლმეურნეობის მუშაკი **გულნარა ჯახრამან ყზი გარაზაევა.**

შაუმიანის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნაკადულის **№ 339** საარჩევნო ოლქში დააყენეს სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **დავით ლევანის-ძე ერქვანია.**

გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კაჭრეთის **№ 170** საარჩევნო ოლქში დააყენეს გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი **ვალერიან გრიგოლის-ძე რევაზიშვილი.**

გურჯაანის რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ყანდაურის **№ 171** საარჩევნო ოლქში დააყენეა სამტრედიის მმართველი **დავით ზაქარიას-ძე რომელაშვილი.**

ბოლნისის რაიონის ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **№ 133** საარჩევნო ოლქში დააყენეა საბჭოთა მეურნეობის მუშაკი **გულნარა ჯახრამან ყზი გარაზაევა.**

შაუმიანის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **№ 136** საარჩევნო ოლქში დააყენეს ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ვლადიმერ კირილეს-ძე სანიკიძე.**

ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ორხევის **№ 72** საარჩევნო ოლქში დაასახელეს რესპუბლიკის პროკურორი **პავლე ვასიანის-ძე ბერძენიშვილი.**

ხაშურის რაიონის სოფელ აბისის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალბერტ ალექსის-ძისა, ავიღე მისამართი და შევუდექი ძებნას. როგორც იყო, მივაღწიე იმ ადგილს, ნახევარი საათის შემდეგ უკვე ამა თვედორეს ასულ ზამორიხასთან, ს. პაპალაშვილის მეუღლესთან ვსაუბრობდი. მარადი აღმოჩნდა შვილი ს. ა. პაპალაშვილისა — გამოჩენილი უშიშარი პარტიზან-მზვერავისა. ჩემთვის სასიხარულო იყო იმის გაგება, რომ სოკრატის შვილი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა, მან შეცვალა მამა.

ეს იყო საბჭოთა მეომრებთან ხრამოვიჩის შეხვედრის მიზეზი. რადგან ჩვენს ხაწრში მსახურობს ახალგაზრდა ოფიცერი მ. ს. პაპალაშვილი.

ამხ. ხრამოვიჩმა ბევრი რამ გვიამბო ს. ა. პაპალაშვილის ცხოვრების შესახებ.

ჩვენთან გამოცხადებისთანავე, — ამბობს ხრამოვიჩი, — სოკრატმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, იგი ჭკვიანი და გულადი იყო, მას დავაკისრეთ მზვერავობა.

პაპალაშვილის ხელმძღვანელობით, აფეთქებულ იქნა მტრის ბევრი კომუნიკაცია.

კარგად იცოდა გერმანული ენა, რამდენჯერმე მოისმინა ტელეფონით მტრის შტაბიდან სადუმლო საუბარი...

1943 წლის 1 ოქტომბერს ჩერიკოვსკის სამხედრო-ოპერატიული ჯგუფი ნაწილ-ნაწილ შეუერთდა საბჭოთა არმიას. მტრის შუაგულში დარჩა მოელი 720-ე როზმი, სადაც შედიოდა პაპალაშვილის ჯგუფიც.

დნეპრის მიდამოებში გაიმართა დიდი ბრძოლა. საბჭოთა პარტიზანებმა ათასობით გერმანელი გამოასალმეს სიცოცხლეს. აქ დაიღუპა რამდენიმე პარტიზანი, ერთ-ერთ მძიმე ბრძოლაში დნეპრის სანაპიროზე გმირულად დაეცა ქართველი ხალხის ღირსეული შვილი სოკრატ პაპალაშვილიც.

ბელორუსი ხალხი თბილად იხსოვს უშიშარი პარტიზანის სოკრატ პაპალაშვილის ხსოვნას. ალმაყა, იყავი ისეთი ვაჟკაცი, როგორიც მამაშენი იყო — ამით დაამთავრა ამხ. ხრამოვიჩმა თავისი საინტერესო ნაამბობი...

ძვირფასო რედაქციავ! რამდენჯერმე გვქონია პირადი საუბარი ლეტენანტ მ. ს. პაპალაშვილთან. იგი ოცნებობს იპოვნოს თავისი ნათესავები. მარადის სურს გიგოს, სად ცხოვრობდნენ მისი მამა და მისი ნათესავები. აი თვითონ გადმოგცეს გაზეთიდან ამოჭრილი ეს სტრიქონი, რომელსაც გიგზავნით, მთლიანი სტრიქონი მამისა ერთხე მეტი არა მაქვსო. მარადი სანიმუშო ოფიცერი, გულისხმიერი ამხანაგია. ალბათ საქართველოში ნათესავები ჰყავს, რომლებიც მას მოიკითხავენ. მაშინ ჩვენც გავიხარებთ მარადთან ერთად.

რიგითი მებრძოლები
მ. აბრამიშვილი,
ი. ჩახავა.

უპატაკებენ სამშობლოს

ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანამ იანვრის დაგეგმა 103,2 პროცენტით შეასრულა. გამოშვებულია 50 ტრაქტორი. იანვრის გეგმა კი 35 ტრაქტორის გამოშვებას ითვალისწინებდა.

ახალციხის თაბაშირის ქარხანამ იანვარში გეგმის ზეგით 40 ტონა სამშენებლო თაბაშირი გამოუშვა.

უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ოთხერ-ვალშიც. ღირსეულად დგას ორ წინასაარჩევნო შრომითს ვახტზე, ქარხნის კოლექტივი თავდადებულად შრომობს, ოთხ 17 მარტისათვის გაანაღდოს თაბაშირის ამოღების პირველი კვარტალის დაგეგმება.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების ორდენის მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ბებიას** ბაბუცა ნესტორის ასულს — ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის დროშის“ წევრს.
2. **ბერიძეს** მეხბულა ზექერიას ასულს — კოლმეურნეს, აშარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი ფურტიო.
3. **ვეფილიანაშვილს** სალომე სოლომონის ასულს — ახალციხის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
4. **გაბიანს** ვერა ყარაბის ასულს — დიასახლისს, ლენტეხის რაიონის სოფელი შკედი.
5. **იგიტიანს** მაირამ სიმონის ასულს — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ქარწახი.
6. **ჭაჯაიას** ლამარა დომენტის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელი ჭუბურხინჯი.
7. **კვესელავას** მარიამ გიორგის ასულს — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
8. **ყზი-ალიას** მირზალი ყზის — დიასახლისს, გარდაბნის რაიონის სოფელი სოლანლუღი.
9. **ლემონჯავას** ვარდიზე გიორგის ასულს — ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ წევრს.
10. **მამედოვას** მურვათ ყურბან ყზის — დიასახლისს, გარდაბნის რაიონის სოფელი ქალინინო.
11. **მოსიძეს** ოლგა ალექსანდრეს ასულს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
12. **სიჭინავას** ლოლა მიხეილის ასულს — ცხაკაიას რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
13. **სოსელიას** ლუბა ანტონის ასულს — კოლმეურნეს, ცხაკაიას რაიონის სოფელი კირცხი.
14. **ტოსუნოვას** ალექსანდრა ფილარეტის ასულს — დიასახლისს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელი ავრანლო.
15. **ცეცხლაძეს** ესმა მიხარალის ასულს — აჭარის ასსრ ხულოს რაიონის კოლმეურნეობა „შრომის წყაროს“ წევრს.
16. **ცირამუას** მარგალიტა ლუკას ასულს — ცხაკაიას რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
17. **წულაიას** ჩიტა იონას ასულს — ცხაკაიას რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
18. **შამათავას** თამარ გვაჯის ასულს — ზუგდიდის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1963 წლის 20 თებერვალი.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის **№ 1** სადნობი საამქროს მესამე ღუმელზე მომუშავე **კომუნისტური შრომის** ბრიგადა, **რომელსაც გრიგოლ ნანიტაშვილი** მეთაურობს, ყოველდღიურად უშვებს ვეგმის ზეგით 2 ტონა მაღალხარისხოვან ფეროშენადნობს და ამავე დროს ზოგავს 5 ათასამდე კილოვატსაათ **ელექტროენერგიას.** საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადირი **გრიგოლ ნანიტაშვილი,** რომელიც **გამოირჩევა** არა მარტო თავისი შრომით, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობითაც, ქარხნის **კოლექტივმა** დაასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის **კანდიდატად № 216** საარჩევნო ოლქში.

სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი გრიგოლ ნანიტაშვილი.

ფოტო **გ. გერსამიასი** და **ა. მაჯავარიანისა.**

შეწყდეს სისხლიანი თარეში!

მოწინავე კაცობრიობა ალაფფოთა ერაყის ტრაგედიამ

სისხლიანი რეპრესიები და დევნა, რასაც ამ დღეებში განიცდიან ერაყელი დემოკრატები, საერთაშორისო საზოგადოებრიობის უაღრესად ფართო ფენების დიდ აღშფოთებას იწვევენ. მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ ერაყის მთავრობისაგან შეწყვეტოს უდანაშაულო ადამიანთა — ხალხის საუკეთესო შვილთა დევნისა და მოსპობის პოლიტიკა.

სოფია. ბულგარეთის სამმართველო ფრონტის ეროვნულმა საბჭომ გაუგზავნა ერაყის მთავრობას საპროტესტო დეპეშა სასტიკი რეპრესიების წინააღმდეგ ერაყში.

პროტესტი რეპრესიების წინააღმდეგ ერაყში განაცხადეს პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და ბულგარეთის ჟურნალისტთა კავშირმა.

ბუდაპეშტი. სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭომ გაუგზავნა ერაყის პრეზიდენტს არიფს საპროტესტო დეპეშა ამ ქვეყანაში გაჩაღებული ტერორის წინააღმდეგ.

გარშავა. პოლონელ სტუდენტთა გაერთიანების მთავარმა საბჭომ პროტესტი განაცხადა სისხლიანი -ტერორის გამო ერაყში.

ჩვენ განსაკუთრებული აღშფოთებით შევტყეთ, რომ უკანონოდ დააპატიმრეს ერაყის სტუდენტთა საყოველთაო კავშირის ბევრი მოღვაწე და მოკლეს ამ კავშირის ვიცე-თავმჯდომარე ფარუკ რიდი.

ბუქარესტი. რუმინეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გაუგზავნა ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტს დეპეშა, რომელშიც გმობს ერაყში გაჩაღებულ ტერორს და მოითხოვს მის შეწყვეტას.

პრაღა. ყველა ჩვენგანი მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს უდანაშაულო ადამიანთა დევნა, რომ დაუყოვნებლივ გათავისუფლონ პროფკავშირთა ყველა დაპატიმრებული წევრი და პატრიოტი და რომ სავსებით პატივი სცენ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას, რადგანაც ეს არის ერთადერთი გზა ერაყის რესპუბლიკის ნამდვილი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს საპროტესტო განცხადებაში.

ირანის ახალი მთავრობის პროგრამა

თეირანი, 20 თებერვალი. (საკდესი). დღეს ირანის პრემიერ-მინისტრმა ალამმა ჩამოაყალიბა ირანის ახალი მთავრობის პროგრამა.

„საგარეო პოლიტიკის დარგში, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, — მთავრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ერთგული იქნება. იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა განამტკიცოს საყოველთაო მშვიდობა და ურთიერთთანხმობა-ცემაზე დამყარებული მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით მეზობლებთან“.

პრემიერ-მინისტრმა შემდეგ აღნიშნა, რომ ახალი მთავრობა პატივისცემით მოეკიდება ყველა საერთაშორისო ვალდებულებას და სენტოს ერთგული დარჩება.

ალამი შეეხო საშინაო პოლიტიკის საკითხებს და აღნიშნა, რომ საჭიროა სწრაფად განზორციელდეს შაჰის მიერ წამოყენებული და 26 იანვრის საყოველთაო რეფერენდუმზე მოწონებული კანონები, განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ირანის სწრაფ ეკონომიურ განვითარებას. მან აღნიშნა, რომ გადაიდგმება ნაბიჯი, რათა სამუშაო მიეცეს ყველა უმუშევარს.

ირანის ახალი მთავრობის პროგრამა, თქვა შემდეგ ალამმა, ითვალისწინებს ურიდიციულ კანონთა გადასინჯვას და იმას, რომ ეს კანონები შეესაბამებოდეს უკანასკნელ სოციალურ ცვლილებებს ირანში. მთავრობის პროგრამაში გათვალისწინებულია საყოველთაო საკალდებულო სწავლების გაფართოება, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება, ადმინისტრაციული აპარატის დეცენტრალიზაცია, საარჩევნო ბიუროტენების შემოღება არჩევნებში, სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

ᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ

ლონდონი, 20 თებერვალი. (საკდესი). კომუნისტი რობერტ ჰენსონი არჩეულია დონკასტერის (ირჩრმარი) პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარედ. ჰენსონს ხმა მისცა საბჭოს 29 წევრმა, მაშინ, როცა მის მოწინააღმდეგეს — ლეიბორისტს 19 ხმა მისცეს.

ტოკიო, 20 თებერვალი. (საკდესი). 866 იაპონელი კომუნისტი პრეფექტურების, ქალაქებისა და სოფლების მუნიციპალიტეტების დეპუტატია.

კომუნისტ დეპუტატთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს იაპონიაში, მიმდინარე წლის თებერვლის პირველ ნახევარში დეპუტატის მანდატი მიიღო იაპონიის კომუნისტური პარტიის კიდევ 26 კანდიდატმა.

უიარაღო მსოფლიოსათვის

განიარაღების კომიტეტში

ჟენევა, 20 თებერვალი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები **გ. დრაგუნოვი** და **ი. მაქსიმოვსკი** იუწყებიან:

დღეს ჟენევის წარმომადგენლის ქ-ნ მიტრადალის თავმჯდომარეობით გაიმართა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი სხდომა.

პირველი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი უ. ფოსტერი, რომელმაც კვლავ მოითხოვა, რომ ყოველწლიურად მოეწყოს სულ ცოტა 8-10 ინსპექცია იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ.

ინდოეთის დელეგატმა ა. ლალმა მხარი დაუჭირა საბჭოთა დელეგაციის აზრს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ლალმა ხაზი გაუსვა აგრეთვე რომ საჭიროა გადაეჭრას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი. ამასთან დაკავშირებით მან მოიწოდა სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ დიდოს შეთანხმება.

ეთიოპიისა და ჩეკოსლოვაკიის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი მთავრობების პოზიცია განიარაღების საკითხსა და ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხზე.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლები 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში, მსოფლიო საზოგადოებრიობისა და პრესის განხილვა-ცემა, ბოლოს, ახლანდელი საერთაშორისო ვითარება, თქვა მან, ერთხელ კიდევ ცხადყოფს რომ სწორია და დროული საბჭოთა დეკლარაციის პროექტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა უარი თქვან უცხოეთის ტერიტორიის გამოყენებაზე იარაღის მიტანის სტრატეგიულ საშუალებათა განლაგებისათვის.

საბჭოთა მთავრობის დავალებით ვ. ვ. კუზნეცოვმა კომიტეტის განსახილველად შეიტანა პროექტი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პაქტისა, თავდაუსხმელობის შესახებ. საბჭოთა კავშირის ამ წინადადების თანახმად, ნატოს კვეყნებმა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა საქვეყნოდ უნდა იკისრონ ვალდებულება, რომ „თავს შეიკავებენ თავდასხმისაგან და როგორც ერთიმეორის წინააღმდეგ, ისე თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობაში საერთოდ არ მიმართავენ ძალით დამუქრებას თუ ძალის გამოყენებას რაიმე ისეთი საშუალებით, რომელიც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და წესდების პრინციპებს“.

ორივე მხარე კისრულობს ვალდებულებას ნათქვამია პროექტში, ყველა სადავო საკითხი გადაჭრან მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებით, მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში კი, თუ „წარმოიშვა სიტუაცია, რომელიც ეხება ორივე მხარის ინტერესებს და საფრთხეს უქმნის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას“ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები პირობა დებენ მეთანთბირონ ერთმანეთს ისეთ ღონისძიებათა მისაღებად, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშვიდობიან მოწესრიგებას.

ᲓᲘᲓᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲗ

ტოკიო, 21 თებერვალი. (საკდესი). გამომცემლობა „სიუნდაისიამ“ იაპონიაში დიდი ტირაჟით გამოუშვა ნ. ს. ხრუშჩოვის უკანასკნელი რამდენიმე თვის უმნიშვნელოვანესი გამოსვლების კრებული საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საკითხებზე. კრებულში შეტანილია ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე, რომელიც შარშან გაიმართა მოსკოვში, მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გასული წლის 12 დეკემბერს „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა“, გამოსვლა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეექვსე ყრილობაზე, აგრეთვე „პრავდის“ სარედაქციო სტატია „განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის“. კრებული გადაეცა იაპონიის წიგნის მაღაზიებსა და კიოსკებს.

ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ათენი, 20 თებერვალი. (საკდესი). ამერიკელი ადმირალი რასელი, რომელიც მთავარსარდალია ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისა ევროპის სამხრეთ ზონაში, დღეს ათენიდან გაემგზავრა. აქ გამართული მისი მოლაპარაკების თემა იყო სპბერნეთის შეიარაღებული ძალების აღჭურვა უახლესი იარაღითა და საბრძოლო საჭურვლით.

როგორც გაზეთი „კატიმერინი“ იუწყება, რასელმა ოფიციალურად აცნობა, საბერძნეთის მთავრობას, რომ ხმელთაშუა ზღვაში მყოფი ამერიკის მეექვსე ფლოტის შემადგენლობაში არის „პოლარისის“ რაკეტებითა და ატომური იარაღით აღჭურვილი სამი ატომური წყალქვეშა ნავი.

როგორც ცნობილია, ეს ფლოტი განლაგებულია საბერძნეთის ნავსადგურებში.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

◆ ატომური ფიზიკის ტექნიკუმი შეიქმნა ოტვოცსკში (ვარშავის სავოეკო-დო), რომელიც პირველია პოლონეთში. ეს მეხუთე პროფესიული სკოლა მოამზადებს ატომური ენერგიის სპეციალისტებს.

◆ ტაილანდის მოსახლეობა შეადგენს 29 მილიონ კაცს. სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, ტაილანდის მოსახლეობა იზრდება წელიწადში დაახლოებით 800 ათასი კაცით.

◆ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის რეაქტიული ბომბდამშენი „ბ-47“ დაიმსხვრა ქალაქ სარინგფილდის მახლობლად (მინესოტის შტატი). ეკიპაჟის სამი წევრი დაიღუპა.

◆ სინგაპურის 118 პროგრესიული საზოგადო მოღვაწე გაუსამართლებლად და გამოუძებლად ჩასვეს საპყრობილეში ერთი წლით. დაპატიმრებულთა შორის არიან მემარცხენე პროფკავშირული ორგანიზაციების, სოციალისტური ფრონტის პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები, აგრეთვე ჟურნალისტები. (საკდესი).

მოსახლეობა გარბის...

რომი, 20 თებერვალი. (საკდესი). შიმშილი, სიღატაკე, მასობრივი უმუშევრობის გამო სამუშაოზე მოწყობასთან დაკავშირებული სიძნელეები აიძულებენ იტალიის ეკონომიურად ჩამორჩენილი სამხრეთი რაიონების მცხოვრებთ დატოვონ მშობლიური ადგილები და გაიქცნენ ამ ქვეყნის ჩრდილოეთში ან საზღვარგარეთ. ამის შესახებ ილპარაკა მშრომელთა ერთ-ერთ მიტინგზე გამოსვლის დროს იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს წევრმა ჯორჯო ამენდოლამ.

10 წელიწადში, 1951-დან 1961 წლამდე, თქვა ამენდოლამ, სამხრეთ რაიონებიდან სულ წავიდა 1.882.700 კაცი, უმთავრესად 18-35 წლის ახალგაზრდები. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთმა დაკარგა თავის საუკეთესო მუშაკთა მესამედი. ეს მასობრივი გაქცევა, რომელიც დღესაც გრძელდება, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია იმისა, რომ იფუშება პოლიტიკა მთავრობებისა, რომელთაც ქრისტიანდემოკრატები მეთაურობენ.

ᲓᲐᲠᲐᲯᲘᲗᲘᲡ ᲐᲠᲐᲧᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲒᲘᲡ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲑᲔᲚᲘ

დიმიტრი არაყიშვილი ქართული მუსიკალური კულტურის დიდი მოჭირნახულეა. ჩვენთვის მუდამ სამაგალითო იყო და იქნება ამ დიდბუნებოვანი ადამიანის შესანშნავი შემოქმედებითი ცხოვრება, უშრეტი ენერგია, გასაოცარი შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი, პრინციპულობა, ქართული ხელოვნების მომავლისათვის შეუპოვარი ბრძოლა.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ეს შესანშნავი მამულიშვილი თავისი მაღალი ავტორიტეტით წინ უძღოდა ქართულ ეროვნულ მუსიკას, ფართოდ უკაფავდა გზას მის გავრცელებას საქართველოსა და რუსეთში, სადაც მან მიიღო მუსიკალური განათლება, დაეუფლა როგორც კომპოზიტორი და მუსიკოსმეცნიერი და თავისი საზოგადო მოღვაწეობისა და დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის პირველი პერიოდი გაატარა.

დიმიტრი არაყიშვილის შემოქმედების ამ ფრიად მნიშვნელოვან პერიოდს წინ უძღოდა მისი ბავშვობისა და ყრმობის მძიმე წლები, რომლის გადალახვა შეეძლებინა მხოლოდ საოცარმა ნებისყოფამ და დასახული მიზნის განხორციელების დიდმა სურვილმა.

1893 წელს დიმიტრი არაყიშვილი ახერხებს ჩასვლას ქ. ეკატერინოდარში (ამჟამად კრასნოდარი) და დიდი მონდომებით მეცადინეობს მუსიკისმოყვარეთა წრეში. ერთი წლის შემდეგ მოსკოვს მიემგზავრება და შედის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო-დრამატულ სასწავლებელში. ამრიგად, არაყიშვილმა მხოლოდ 21 წლის ასაკში დაიწყო სისტემატური მეცადინეობა მუსიკაში, სწრაფად შეითვისა თეორიული საგნები, მუსიკალური ლიტერატურა. ჯერ კიდევ მოსწავლემ დაწერა და 1897 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი წერილი „როგორ მოვუაროთ ხალხურ სიმღერებს“.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის მეულინებით 1901-1908 წლებში დიმიტრი არაყიშვილი ოთხ ექსპედიციას აწყობს საქართველოს სხვადასხვა რაიონში და პირველად ფონოგრაფის საშუალებით იწერს 400-მდე ხალხურ სიმღერას. მოელი ეს მოპოვებული შესანშნავი მასალა დაიბეჭდა სამ ტომად, რომელთაგან 1916 წელს გამოცემულმა მესამე ტომმა პრემია მოიპოვა.

შემოქმედებითი მუშაობის პარალელურად არაყიშვილი მოსკოვის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების საჯარო სხდომებზე მოხსენებებით გამოდიოდა და მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ეროვნული კულტურის ფონზე განიხილავდა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს, აკეთებდა მის თვითმყოფობას. ამასთან ეროვან ეთნოგრაფიულ საღამოებზე აწყობდა ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის კონცერტებს და ფართო პროპაგანდას უწევდა მშობლიურ მუსიკალურ კულტურას.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი არაყიშვილი 1917 წელს ამთავრებს აკადემიკოს მოსკოვის არქეოლოგიის ინსტიტუტს, ამავე წელს იცავს დისერტაციას სწავლული არქეოლოგის ხარისხზე და იღებს ოქროს მედალს.

მეტად მომხიბლავია ამ სასიქადულო მოღვაწის პატრიოტული სული. ოცდახუთი წლის განმავლობაში სამშობლოს დამშრომელი მშობელი ხალხის მუსიკალური შემოქმედების კეთილდღეობაზე ზრუნავდა — კრებდა, სწავლობდა, იკვლევდა, შემოქმედებითად იყენებდა და კვლავ ხალხს უბრუნებდა. არაყიშვილი დღეისადაგ შრომობდა, მაგრამ არ ხელეწიფებოდა, თხზავდა. მაგრამ არ კმაყოფილდებოდა, რადგან წინ უფრო დიდებული შრომისი ესახებოდა, ასე გროვდებოდა ის ძვირფასი მასალა, რომელიც ამ ამაგდარმა ადამიანმა შემოქმედებითი მემკვიდრეობის სახით მომავალ თაობას დაუტოვა.

მოწინავე საზოგადოებრივი იდეალებით გამსჭვალული არაყიშვილი მოსკოვში სატფუძველს უყრის „სახალხო კონსერვატორიას“, რედაქტორობს ჟურნალ „მუზიკა ი ჟიზნს“, ხელმძღვანელობს „სკოლისგარეთ განათლების დამხმარე საზოგადოებასთან“ განსხილ სამესიანო განყოფილებას. მისივე ინიციატივით არბატის რაიონში ოპერიბეს მოსწავლეთათვის არსდება სამუსიკო კლასები.

დ. არაყიშვილი როგორც კომპოზიტორი მრავალმხრივი შემოქმედია. მის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის მუსიკალური ნაწარმოებები — ორი ოპერა, სამი სიმფონია, სიმფონიური სუიტები, ცეკვები, ორი კანტატა, სიმღერა-რომანსები, გუნდები, დამუშავებული ხალხური სიმღერები.

ქართველი ფართო საზოგადოებრიობა დიმიტრი არაყიშვილის შემოქმედებას პირველად 1913 წელს გაეცნო, როდესაც კომპოზიტორი თავისი კონცერტებით ეესტრადა თბილისს, ავტორის დირიჟორობით შეასრულებული ოპერის („თქმულება შოთა რუსთაველზე“) ფინალურას, ამავე ოპერის ცალკეულ არიებს, ეოკალურ ანსამბლებს, ცეკვებს, სიმფონიურ სუიტას და რომანსებს საქართველოში აღფრთოვანებით შეხვდნენ. პროგრამისა და შესრულების მხრივ ფრიად შინაარსიანი და მიმზიდველი კონცერტები მომდევნო წლებშიც გაეკორდა.

ნიჭიერი, კომპოზიტორის შემოქმედებით მოხიბლული და, საერთოდ, ქართული პროფესიული მუსიკას მოწყურებული თბილისს მოწონავი საზოგადოებრიობა მოითხოვდა არაყიშვილის საშობლოში გადმოსვლას, რაც მხოლოდ 1918 წელს მოხერხდა. ამიერიდან იგი გაორკეცებული ენერგიით ემსახურებოდა ქართული მუსიკის აღმავლობას.

დიმიტრი არაყიშვილი ეკუთვნის ქართველ მუსიკოსთა ის თაობას, რომელიც შეუპოვრად მიაბიჯებდა ეროვნული მუსიკალური კულტურის მშენებლობის გაფენილ ყამირზე. მელოდრამ ბალანჩივაძესა და ზაქარია ფალიაშვილთან ერთად დიმიტრი არაყიშვილის სახელი მუდმივად არის დაკავშირებული ქართული პროფესიული მუსიკის სათავეებთან.

თავისი ოპერით „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (შემდეგში „შოთა რუსთაველი“) დიმიტრი არაყიშვილმა პირველმა შეაღო თბილისის ოპერის თეატრის კარი. ამ თეატრის სცენაზე 1919 წლის 5 თებერვალს პირველად დადგა ქართული ეროვნული ოპერა. მის კედლებში პირველად დაირხა მშობლიური ჰანგები.

დიმიტრი არაყიშვილი „ფეხბედნიერი მეკვლე“ გამოდგა — მალე ამავე თეატრში წარმოდგენილ იქნა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, ხოლო მოგვიანებით ამათ მოჰყვა კვლავ ზ. ფალიაშვილის „დაისი“ და მელიტონ ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი“ (ამჟამად „დარეჯან ცბიერი“), რომლებმაც მძლავრი ბიძგი მისცეს საბჭოთა ეროვნული ოპერების განვითარებას საბჭოთა საქართველოში.

[illegible] ეროვნული ოპერა [illegible] ეროვნული ბალეტი [illegible] ეროვნული ოპერეტ

ხალხის ხელოვნება

ხალხური შემოქმედების ყველაზე უფრო მკვეთრი და მასობრივი გამოვლინება მხატვრული თვითმოქმედებაა. უკანასკნელ დროს ამ საქმის ხელმძღვანელობა პროფესიულმა კავშირებმა ითავეს და სახალხო ტალანტების განვითარების ყველა პირობა შექმნეს.

თვითმოქმედი წრეების წევრთაგან სახოგადოებრივ საწყისებზე იქმნება სახალხო თეატრები, მუსიკალური, ვოკალური და მოცეკვავეთა ანსამბლები, სპორტული, ფიზკულტურული, ფეხბურთელთა, ალპინისტთა, ფარიკაობა, ფეხბურთელთა, ალპინისტთა, ფარიკაობა, ფეხბურთელთა, ალპინისტთა, ფარიკაობა